საია საქალაქო სასამართლოს განჩინებას ასაჩივრებს

დღეს, 17 სექტემბერს, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას თბილისის საქალაქო სასამართლოში კერძო საჩივარი შეაქვს. საჩივარი შეეხება თბილისის საქალაქო სასამართლოს 16 სექტემბრის განჩინების უკანონოდ ცნობისა და საქმის არსებითად განხილვისათვის დაბრუნებას.

შეგახსენებთ, რომ გუშინ თბილისის საქალაქო სასამართლომ წარმოებაში არ მიიღო საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის დამკვირვებლების თამარ გურჩიანის, თამარ კორძაიას და ზურაბ ჯიბღაშვილის

სასარჩელო განცხადება. სასარჩელო განცხადება შეეხებოდა თბილისის საკრებულოს არჩევნებისათვის "საქართველოს ეროვნული იდეოლოგიის პარტიისა" და "ნაციონალური მოძრაობა - საქართველოს გამთლიანებისა და აღმშენებლობის" სიის პარტიული სიების რეგისტრაციის ნაწილში ცესკოს განკარგულების ბათილად ცნობას. მოსამართლე თინათინ ეცადაშვილმა განჩინებაში, რომლითაც საიას წარმომადგენლებს უარი ეთქვათ სარჩელის მიღებაზე, აღნიშნა, რომ მოსარჩელეები არ იყვნენ სათანადო სუბიექტები აღნიშნული გადაწყვეტილების სასამართლოში გასასაჩივრებლად.